საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
**MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო**

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020174653031521

№ **194-04** **21 / სექტემბერი / 2021 წ.**

## ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სადგურ ლილოს მიმდებარედ, თხევადი აირის საცავის (ჯამური მოცულობით 1100მ3), მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის № 257 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სადგურ ლილოს მიმდებარედ (ს/კ N01.19.15.005/061), თხევადი აირის საცავის (ჯამური მოცულობით 1100მ$^3$), მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (დანართი №1).
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა ქ. №2).
3. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი: **1.** შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ს წარმომადგენლის ლევან ინასარიძის 2021 წლის 10 აგვისტოს N1604 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე